

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია დაჯილდოვდა ევროპული პრიზით "გაძლიერებული მმართველობისთვის"

2022 წლის 22 ივნისს მოლდოვას რესპუბლიკაში ევროკავშირის დელეგაციამ უმასპინძლა 2022 წლის სამოქალაქო საზოგადოების მესამე გალა ღონისძიებას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამორჩეულ გამარჯვებულებს მოლდოვის რესპუბლიკიდან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დემოკრატიის განმტკიცებას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ ის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ევროკავშირის დახმარების ბენეფიციარები, რომლებმაც მიაღწიეს თვალსაჩინო და ხელშესახებ შედეგებს ევროპული ღირებულებების, დემოკრატიის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისას, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. ჯილდო გადაეცათ შემდეგ კატეგორიებში:

- გაძლიერებული მმართველობა
- შედარებით ძლიერი საზოგადოება
- გაძლიერებული ეკონომიკა
- გაძლიერებული კავშირგაბმულობა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია(ALDA) დაჯილდოვდა ევროპული პრიზით "გაძლიერებული მმართველობისთვის" 2022 წლის სამოქალაქო საზოგადოების გალა ღონისძიებაზე, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ მოლდოვას რესპუბლიკაში.

ასოციაციას მიენიჭა ევროპული პრიზი "გაძლიერებული მმართველობისთვის" 2022 წლის სამოქალაქო საზოგადოების გალა ღონისძიებაზე.

მიღწეულ თვალსაჩინო შედეგებს შორის, ასოციაციამ მოახერხა ქალაქ ციმისლიაში ცენტრალური ხეივანი „Ștefan cel Mare și Sfânt“ სასიამოვნო და თანამედროვე საზოგადოებრივ ზონად გადაექცია. ევროკავშირის მხარდაჭერით, ხეივანში განთავსდა 20 სკამი გამვლელებისთვის, 20 ნაგვის ურნა ტერიტორიის სისუფთავის შესანარჩუნებლად და ორი საინფორმაციო დაფა მერიის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისთვის.

გარდა ამისა, ასოციაციამ მოახილიზა საზოგადოება იმისთვის, რომ გაელამაზებინათ კიდევ ერთი სიმბოლური დასასვენები ადგილი, „Vatra Cimișliei“, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ და აქტივისტებმა ნამდვილ ტურისტულ ზონად აქციეს. ALDA-მ მხარი დაუჭირა ციმისლიაში საბავშვო მოედნის და ახალგაზრდებისათვის დასასვენებელი სივრცის მოწყობის

საკითხსაც. ადგილობრივი მოქალაქეები წახალისებულნი იყვნენ ყველა ამ ინიციატივის განხორციელებაში და აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ევროპული პრიზი "ძლიერი მმართველობისთვის" გადაეცა ასოციაციას თვალსაჩინო შედეგებისთვის, რომელიც მიღწეული იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "მმართველობის რეფორმის გააქტიურება განვითარების გასაუმჯობესებლად" (AGREED) განხორციელებით. AGREED-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების მეშვეობით, ადგილობრივი თემების წევრები უშუალოდ მონაწილეობდნენ თემის განვითარებაში მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. თანამშრომლობდნენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

გარდა ამისა, გაიზარდა მოქალაქეების მოქმედების შესაძლებლობები და პასუხისმგებლობა მიიღონ მონაწილეობა კარგი ადგილობრივი მმართველობის განხორციელებაში.